PX 4646/1
п3/1041

41

## შენი ხმა იგებს!

თბილისი – რეგიონის ცენტრი – ხიდი ევროპასთან

თბილისი – სოლიდარული ქალაქი

თბილისი – ჯანსაღი ქალაქი

ქართული ოცნება

www.41.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

41

# დავით ნარმანია

# შენი ხმა იგებს!

ქართული ოცნება

www.41.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

# 41

# აირჩიე მომავალი



**ირაკლი ღარიბაშვილი**

**კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერი**

ჩვენმა ქვეყანამ დემოკრატიის კიდევ ერთი გამოცდა ჩააბარა.

ჩვენ ჩავატარეთ თავისუფალი და გამჭვირვალე ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები. კოალიცია ,,ქართულმა ოცნებამ“ დამაჯერებლად გაიმარჯვა ამ არჩევნებში - ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ აიღო მანდატების დიდი უმრავლესობა ყველა მუნიციპალიტეტში, ყველა სოფელსა და ქალაქში.

ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ საქართველოში დემოკრატიული განვითარება შეუქცევადია. პირველად ჩვენი ქვეყნის ისტორიაში იმართება არჩევნების მეორე ტური. ჩვენმა პოლიტიკურმა ძალამ მიიღო გადაწყვეტილება საარჩევნო ბარიერის 50 პროცენტამდე გაზრდასთან დაკავშირებით. ჩვენ ხალხს მივეცით შესაძლებლობა, პირდაპირი გზით აერჩია 12 ქალაქის მერი და ყველა გამგებელი. ეს არის კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ნება. ჩვენ ამით საძირკველს ვუყრით თანამედროვე, წარმატებული და თავისუფალი სახელმწიფოს მშენებლობას.

საქართველოს მოქალაქეების ღირსების საქმეა, მეორე ტურში დავაფიქსიროთ რეალური პროცენტი. ჩვენ არა გვაქვს უფლება მოვდუნდეთ, ვიყოთ პასიურნი იმ იმედით, რომ ,,ქართული ოცნება“ მაინც გაიმარჯვებს. დღეს არა გვაქვს უფლება, გულგრილი დავრჩეთ პროცესებისადმი! მოდით არჩევნებზე! იცოდეთ, რომ თქვენი ხმა მნიშვნელოვანია!

## იცოდეთ, თქვენი ხმა იგებს!

მიიღეთ მონაწილეობა მეორე ტურში იმისათვის, რომ ჩვენმა ქვეყანამ ახალი ცხოვრება დაიწყოს. მიეცით ხმა თქვენს მომავალს!

## მოგესალმები, თბილისო!

მინდა ყველა თბილისელს მადლობა გადაგიხადოთ ჩემ მიმართ გამოჩენილი დიდი ნდობისა და მხარდაჭერისთვის. მადლობელი ვარ ყველა ადამიანის, ვინც 15 ივნისს მოვიდა არჩევნებზე და საკუთარი პოზიცია დააფიქსირა, პოზიცია, რომელიც ნაკარნახევი იყო გამოცდილებით, ქვეყნის მომავალზე ზრუნვითა და გულწრფელობით. მე შემიძლია ამაყად განვაცხადო, რომ არც ერთი მოქალაქის ხმა არ დაკარგულა და არ დაქვემდებარებია უკანონო მანიპულაციებს.

15 ივნისს ჩვენმა პოლიტიკურმა გუნდმა უკვე მეორედ ჩააბარა დემოკრატიის გამოცდა და დაადასტურა, რომ ჩვენთვის ხალხის ნება უმთავრესია. თუმცა, როგორც ყველა სიკეთეს, თავისუფლებასაც თავისი ფასი აქვს და მიღწეული შედეგების შენარჩუნება და განვითარება განსაკუთრებულ ძალისხმევას მოითხოვს - ხანდახან იმაზე მეტსაც კი, ვიდრე ჩვენ წარმოგვედგინა.

„ქართულმა ოცნებამ“, მისი ლიდერების თაოსნობითა და პირადად ჩემი მონაწილეობით, შექმნა თვითმმართველობის ახალი კოდექსი, რომლითაც თითოეული მოქალაქის ხმა უფრო დაფასდა, გაიზარდა ხელისუფლების კონტროლის მექანიზმები და სახელმწიფოს ძართვაში ადამიანების ჩართულობის ხარისხი; დააწესა უპრეცედენტოდ მაღალი საარჩევნო ბარიერი, რითაც მნიშვნელოვნად გაზარდა არჩეული პირების ლეგიტიმაცია. მაგრამ ლეგიტიმურობის ამ ხარისხის მისაღწევად პოლიტიკოსებსაც და მოქალაქეებსაც უფრო მეტი შრომა გვიწევს. ჩვენ ყველამ, კიდევ ერთხელ, უნდა მოვახდინოთ ძალების მობილიზება და კიდევ ერთხელ დავანახოთ ჩვენს მომავალ თაობებს, რომ ყველაფერი გავაკეთეთ იმისთვის, რათა მათი ცხოვრება უკეთესი გახდეს, არ დავიზარეთ და არ დავუშვით ქვეყანაში უსამართლობის დაბრუნება. მე ყველაფერს გავაკეთებ, რომ აგიხსნათ, თუ რას მოგცემთ თითოეულ თქვენგანს ჩემი მერად არჩევა, რა კონკრეტულ პრობლემებს მოაგვარებს მერიის ადმინისტრაცია და რა მსურს გავაკეთო ჩვენი ქალაქისა და ჩვენი ქვეყნისთვის. ვეცდები, მეორე ტურში ყველა თქვენგანს ზუსტად ავუხსნა, რის გაკეთებას ვგეგმავ, როგორია ჩემი ხედვა. არჩევანი კი თქვენზეა.

ჩვენი ერთ-ერთი უმთავრესი მიზანი თბილისის ჯანსაღ ქალაქად ქცევა და თბილისელების კეთილდღეობის მნიშვნელოვნად გაზრდაა. ამ მიზნის მისაღწევად ჩვენ რეალურ ეკონომიკურ გათვლებზე დაფუძნებულ მრავალკომპონენტიან პროგრამას სამი ძირითადი მიმართულებით განვახორციელებთ: 1. თბილისი - რეგიონის ცენტრი; 2. თბილისი - სოლიდარული ქალაქი; 3. თბილისი - ჯანსაღი ქალაქი.

მე მჯერა თქვენი, დარწმუნებული ვარ, ვერ დარჩებით გულგრილები მაშინ, როდესაც ჩვენი ქალაქის ბედი წყდება, მოხვალთ არჩევნებზე და მხარს „ქართულ ოცნებას“ დაუჭერთ.

**გახსოვდეთ, თქვენი ხმა გადამწყვეტია, თქვენი ხმა იგებს არჩევნებს, მობრძანდით და აირჩიეთ მომავალი, ერთად ვიზრუნოთ თბილისზე, ერთად ვიზრუნოთ საქართველოზე!!!**

დავით ნარმანია

თბილისის მერობის კანდიდატი, საარჩევნო ბლოკი „ქართული ოცნება“



**ჩვენი მიზანია:**

**თბილისი – რეგიონის ცენტრი – ხიდი ევროპასთან**

**თბილისი – სოლიდარული ქალაქი**

**თბილისი – ჯანსაღი ქალაქი**

## თბილისი – რეგიონის ცენტრი – ხიდი ევროპასთან

### თბილისს ეყოლება გამჭვირვალე, ანგარიშვალდებული და ადამიანზე ორიენტირებული მთავრობა:

- შევქმნით საზოგადოებრივ საბჭოებს, რომელთა წევრებიც გახდებიან საზოგადოებისთვის სანდო შესაბამისი სფეროების სპეციალისტები.
- მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებს მხოლოდ მათთან კონსულტაციითა და საზოგადოების ჩართულობით მივიღებთ.

### განვახორციელებთ შემდეგ პროექტებს:

- 100 მილიონი ლარი მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობისთვის
- აწარმოე თბილისში - გაყიდე ევროპაში
- ბიზნესის დაწყების ხელშეწყობა
- ინვესტიციების მოზიდვის ხელშეწყობა
- თბილისი - ევროპის ახალგაზრდული დედაქალაქი
- კავკასიის კულინარული ფესტივალი
- კავკასიის ფოლკლორის ფესტივალი

### მოსალოდნელი შედეგები:

- ახალი სამუშაო ადგილები
- ახალი ინვესტიციები
- მსხვილი კომპანიების რეგიონული ოფისების გახსნა
- თბილისის ბიუჯეტის და მისი მოსახლეობის შემოსავლების ზრდა



# თბილისის ახალგაზრდული ცენტრი



- დავაარსებთ „თბილისის ახალგაზრდულ ცენტრს".
- ამისთვის ახალგაზრდებს გადავცემთ კეთილმოწყობილ და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მქონე თანამედროვე შენობას

შენობაში განთავსდება საკონფერენციო, საკონცერტო, საგამოფენო და სპორტული დარბაზები, საცურაო აუზი და სხვა. აღნიშნული სივრცის მართვაში ჩაერთვებიან თავად ახალგაზრდები

## მასობრივი სპორტის ხელშეწყობა – ჯანსაღი თაობა

- თბილისში ავაშენებთ 10 მუნიციპალურ აუზს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება ნებისმიერი სოციალური ფენისთვის
- თბილისის ყველა რაიონში გავხსნით მრავალფუნქციურ სპორტულ კომპლექსს
- ყველა რაიონში შევქმნით მოსწავლე-ახალგაზრდობის ცენტრებს
- შევქმნით ახალგაზრდობის დასვენების, გართობისა და თვითრეალიზების სივრცეებს



ეროვნული ბიბლიოთეკა

### ბიოგრაფიული ცნობები:

დავით ნარმანია დაიბადა 1979 წლის 7 მარტს ზუგდიდში.

1996-2002 წლებში სწავლობდა ივ. ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მენეჯმენტისა და მიკროეკონომიკის ფაკულტეტზე. 2000 წელს მიენიჭა ეკონომიკის ბაკალავრის, ხოლო 2002 წელს – ეკონომიკის მაგისტრის ხარისხი.

26 წლის ასაკში დაიცვა დისერტაცია და მიენიჭა ეკონომიკის აკადემიური დოქტორის ხარისხი.

იყო ჯორჯ შულცის სახელობის სტიპენდიატი.

სამეცნიერო სტაჟირება გაიარა გერმანიის აკადემიური გაცვლის სამსახურის (DAAD) პროგრამით, პოტსდამის უნივერსიტეტის ფინანსურ მეცნიერებათა კათედრაზე, 2007-2008 და 2011-2012 წლებში.
2005 წლიდან დღემდე მუშაობს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამჟამად არის მენეჯმენტისა და ადმინისტრირების მიმართულების ხელმძღვანელი, სრული პროფესორი. ასევე, მისი სამეცნიერო-პედაგოგიური მუშაობა დაკავშირებულია საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტთან (GIPA) და ქართულ-ამერიკულ უნივერსიტეტთან (GAU). მისი ავტორობით გამოცემულია 24 სამეცნიერო და პოპულარული ნაშრომი, დავით ნარმანია არის 34 სამეცნიერო ნაშრომის, ასევე 2 სახელმძღვანელოს თანაავტორი.

მისი ხელმძღვანელობით 2005-2006 წლებში მომზადდა ქ. თბილისის პროგრამული ბიუჯეტის მეთოდოლოგია, ქონებრივი და



ფინანსური ადმინისტრირების მოდელი. მინისტრის პოსტზე მუშაობის პერიოდში განხორციელდა მოცულობითი ინფრასტრუქტურული პროექტები, თვითმმართველობის რეფორმა, შემუშავდა რეგიონული განვითარების გეგმა.

ფლობს გერმანულ, ინგლისურ და რუსულ ენებს.

ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.



**სამუშაო გამოცდილება:**

| | | |
|---|---|---|
| 10/2012-04/2014 წწ. | – | საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, საქართველოს მთავრობის წევრი. |
| 01/2009-10/2012 წწ. | – | „კავკასიის ეკონომიკური და სოციალური კვლევითი ინსტიტუტი" (CIESR), აღმასრულებელი დირექტორი. |
| 01/2008-12/2009 წწ. | – | „საკონსულტაციო-ანალიტიკური ტრენინგცენტრი", კვლევითი განყოფილების უფროსი. |
| 01/200-12/2007 წწ. | – | „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", გამგეობის თავმჯდომარე. |
| 05/2005-01/2006 წწ. | – | „პრივატიზებულ საწარმოთა რესტრუქტურიზაციისა და მენეჯმენტის დახმარების ცენტრი" (CERMA), უფროსი ბიზნესკონსულტანტი. |
| 01/2005-01/2006 წწ. | – | „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე. |
| 04/2004-12/2005 წწ. | – | კომპანია „ბიზნესკონსალტინგის ჯგუფი", გენერალური დირექტორი. |
| 07/2003-04/2004 წწ. | – | „საზოგადოებრივი განვითარების ინსტიტუტი", საგადასახადო-საბიუჯეტო პროგრამის კოორდინატორი. |
| 03/2001-07/2003 წწ. | – | საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, უფროსი სპეციალისტი და სამინისტროს სათათბირო ორგანოს მდივანი. |
| 01/1999-02/2001 წწ. | – | „საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაცია", ეკონომიკური განათლების პროგრამის კოორდინატორი. |

დამკვეთი: მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება "ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო"; ს/კ: 204579839; თბილისი, ერეკლე მეორის მოედანი/ანტონ კათალიკოსის ქუჩა 3/36; დამზადებელი: შ.პ.ს. "იმედი+"; ს/კ: 400059351; თბილისი, წერონისის ქუჩა 113; ტირაჟი 62000; თარიღი: 04.07.2014-დან 09.07.2014-მდე. (21სმ X 14.5სმ) სააგიტაციო მასალა.




ეროვნული ბიბლიოთეკა